საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, შპს ,,სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.36.014.681), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი N16), არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

პროექტის ავტორი----------გიორგი მერაბიშვილი

ექსპერტი----------ლევან ოთარაშვილი

ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, შპს ,,სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.36.014.681), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი N16), არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასება.

შენიშვნები:

- არქიტექტურული პროექტის წესებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა პროექტის მთავარი არქიტექტორის გიორგი მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის №41-ე დადგენილების ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის თაობაზე.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა განახორციელოს წინამდებარე საექსპერტო შეფასების შესაბამისად.

- არქიტექტურული პროექტის ცვლილება, რომელიც იწვევს შეუსაბამობას წინამდებარე საექსპერტო დასკვნასთან, უნდა შეთანხმდეს ექსპერტთან და განხორციელდეს საექსპერტო დასკვნის კორექტირებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში საექსპერტო შეფასება ავტომატურად კარგავს ძალას.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს.

- სახანძრო უსაფრთხოების სისტემის პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად კვალიფისიური სპეციალისტების მიერ.

საექსპერტო კვლევის საფუძველი:

მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 ქვეთავის მიხედვით, საექსპერტო შეფასება გულისხმობს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობას, სულ მცირე, შემდეგი ნაწილების მითითებით:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

12) ლიფტების შეფასებას;

შენიშვნა:

მისაწვდომობის შეფასების დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები”-ს ტექნიკური რეგლამენტთან შესაბამისობის დასკვნაში.

პროექტის ზოგადი აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შპს ,,სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.36.014.681).

საპროექტო მიწის ნაკვეთი საზოგადოებრივ სივრცეს ესაზღვრება სამხრეთ-დასავლეთით არსებული გზის მხრიდან.

საპროექტო შენობის კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, სექტორი N16-ის მშენებლობა.

შენობის ყველაზე მაღლა მდებარე დაკავებული იატაკის ზედაპირის სიმაღლე, სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისადგომის მიწის საკონტროლო დონიდან შეადგენს 36,00 მეტრს.

შენობის სართულიანობა განსაზღრულია 12 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართულით.

საპროექტო შენობაში შემავალი ფუნქციები:

- ✓ მიწის დონის ქვედა სართული - დახურული ავტოსადგომი, სახანძრო ტუმბოების და ავზის ოთახები.
- ✓ მიწის დოზის ზედა I სართული - კომერციული ფართობი.
- ✓ მიწის დოზის ზედა II-დან XI სართულის ჩათვლით - საცხოვრებელი ბინები.

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

შენობის თითოეული ფუნქციისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

პროექტით გათვალისწინებული დაკავებულობები:

- მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი -3.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.3-ე ქვეთავს;
- სავაჭრო ჯგუფი **სვ** (კომერციული ფართობი 0,00 ნიშნულზე) - შეესაბამება 309.1-ე ქვეთავის;
- სახანძრო ტუმბოების და ავზის ოთახები **დს** (-3.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 312.1-ე ქვეთავს;
- საცხოვრებელი ჯგუფი **სც-2** (საცხოვრებელი ბინები +4.00 ნიშნულიდან +36.00 ნიშნულის ჩათვლით) - შეესაბამება 310.4 ქვეთავს.

თითოეული ფუნქციისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს.

- მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** (ავტოსადგომი), დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი (დდფ)------- **18.6** მთლიანი;
- დამხმარე-ტექნიკური ფართები **დს** (სახანძრო ტუმბოს და წყლის ავზის ოთახები), დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი (დდფ)---------- **27.9** მთლიანი;
- სავაჭრო ჯგუფი **სვ** (კომერციული ფართობი), დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი (დდფ)----- **2.8** მთლიანი;
- საცხოვრებელი ჯგუფი **სც-2** (საცხოვრებელი ბინები), დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი (დდფ)----- **18.6** მთლიანი;

დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორების მიხედვით არის დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე).

შენიშვნა: დაკავებულობის დატვირთვის ფართობი დაანგარიშებულია საზაფხულო ფართების ჩათვლით, გარე კედლების და შახტების გამოკლებით.

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპი შენობის სიმაღლის, სართულიანობის და ფართობის გათვალისწინებით, განისაზღვრა **I-A** ტიპით, რაც შეესაბამება წესების 503 ცხრილს.

- შენობის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები კონსტრუქციული ელემენტებისათვის (მზიდი კედლები, სართულშუა გადახურვა, სახურავის კონსტრუქცია და არამზიდი კონსტრუქციული ელემენტები) შეესაბამება 601-ე ცხრილს.

- ✓ ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------3 სთ.
- ✓ გარე და შიგა მზიდი კედლები----------3 სთ.
- ✓ იატაკის კონსტრუქცია და არამზიდი ნაწილები --------2 სთ.
- ✓ სახურავის კონსტრუქცია და არამზიდი ნაწილები -----1 სთ.

- შენობის გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შეესაბამება 602 ცხრილს.

ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი	ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნა	
		დასაშვები	გათვალისწინებული
,,1-7“ ღერძებში	2,5 - 2,7	1 სთ.	2 სთ.
,,7-13“ ღერძებში	8,6 - 20,4	1 სთ.	2 სთ.
,,ა-დ“ ღერძებში	9<	0 სთ.	2 სთ.
,,13-1“ ღერძებში	9<	0 სთ.	2 სთ.
,,დ-ა“ ღერძებში	9<	0 სთ.	2 სთ.

შენიშვნა: შენობის ელემენტები უნდა შეესაბამებოდეს 703 ქვეთავის მოთხოვნებს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

საპროექტო შენობის სიმაღლე, ფართობი და სართულიანობა, კონსტრუქცის ტიპის (**I–A**) მიხედვით, სრულად შეესაბამება წესების 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

პროექტით გათვალისწინებულია 17 სართულიანი, 1 მიწის დონის ქვედა და 16 მიწის დონის ზედა სართულის შენობის მშენებლობა.

ვინაიდან მიწის მოპირკეთებული ზედაპირის დონე გარე კედლებიდან დამრეცად მიდის, ათვლის დონე განისაზღვრა შენობიდან 1,8 მ-ით დაშორებული წერტილებიდან, მიწის ნაკვეთის საზღვრებს შორის მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით.

საპროექტო შენობის ბოლო დაკავებული იატაკი, მიწის დონის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან, სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომიდან მდებარეობს +36,00 მეტრზე.

შენობაში გათვალისწინებული დაკავებულობები და მათი მდებარეობა:

- ✓ **სწ-2** შემოზღუდული ავტოსადგომი ----------მიწის დონის ქვედა სართულზე;
- ✓ **სვ** კომერციული ფართობი ----------I სართულზე;
- ✓ **დს** სახანძრო ტუმბოების და ავზის ოთახები------მიწის დონის ქვედა სართულზე;
- ✓ **სც-2** საცხოვრებელი ბინები----------II -XI სართულებზე;

I-A ტიპისთვის დასაშვები სართულიანობა და ფართობი:

სწ-2 დაკავებულობისთვის:

- ✓ დასაშვები სართულიანობა----------შეუზღუდავი
  შემოთავაზებული სართულიანობა ----------1 სართული
- ✓ დასაშვები ფართობი: ----------შეუზღუდავი
  შემოთავაზებული ფართობი:
  მიწისქვეშა სართულზე: ----------951,5 კვ.მ.

სვ დაკავებულობისთვის:

- ✓ დასაშვები სართულიანობა----------შეუზღუდავი
  შემოთავაზებული სართულიანობა ----------1 სართული
- ✓ დასაშვები ფართობი: ----------შეუზღუდავი
  შემოთავაზებული ფართობი:----------975,1 კვ.მ.

სც-2 დაკავებულობისთვის:

- ✓ დასაშვები სართულიანობა----------შეუზღუდავი
  შემოთავაზებული სართულიანობა ----------11 სართული
- ✓ დასაშვები ფართობი: ----------შეუზღუდავი
  შემოთავაზებული ფართობი:----------1051,0 კვ.მ.

საერთო სიმაღლე:

დასაშვები სიმაღლე----------შეუზღუდავი
შემოთავაზებული სიმაღლე:----------41,50 მეტრი

სართულების საერთო რაოდენობა----------12 სართული
შენიშვნა:

- შენობის სართულიანობა მითითებულია მიწის დონის ზემოთ.
- შენობის ფართობი დაანგარიშებულია „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით თითოეულ სართულზე.
- შენობის სიმაღლე მითითებულია მიწის დონის ზემოთ.

პროექტით გათვალისწინებულია მაღლივი შენობის მოთხოვნები, კერძოდ:

საპროექტო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომის ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე ზემოთ. წესების მიხედვით 23 მეტრის ზემოთ მდებარე შენობა კლასიფიცირებულია როგორც მაღლივი შენობა. თუმცა ბოლო დაკავებული სართულის სიმაღლე არ აღემატება 37 მეტრს.

- ✓ სახანძრო ტუმბოს ოთახი დაცულია 913.2.1-ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ კვამლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემა მოწყობილია 907.2.13.1-ე და 907.2.13.1.2-ე ქვეთავების შესაბამისად, რაც აკმაყოფილებს 907.2.13.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს;
- ✓ სახანძრო განგაშის სისტემა გათვალისწინებულია 907.2.13-ე და 907.5.2.2-ე ქვეთავების შესაბამისად.
- ✓ სახანძრო მილდგარების სისტემები განთავსებულია 905.3 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა განთავსებულია 907.5.2.2-ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ კვამლის გაწოვისთვის გათვალისწინებულია ბუნებრივი განიავების ხელით გასაღები ფანჯრების მოწყობა;
- ✓ შიგა გასასვლელის გზა-კიბეები 403.5.1 ქვეთავის შესაბამისად ერთმანეთისგან გამიჯნულია 9,0 მეტრით;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

- ➢ გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე კომპონენტის, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელის და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება განხორციელდა შენობის სართულიანობის, თითოეული სართულის ფართობის, გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის, დაკავებულობის დატვირთვის და ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების საფუძველზე, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-10 თავის შესაბამისად.

- ➢ წარმოდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულიანობიდან და ფართობიდან გამომდინარე, წესების 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილების გათვალისწინებით მოეთხოვება ორი გასასვლელი. შენობას ემსახურება ორი შიგა გასასვლელი გზა-კიბე. 0,00 ნიშნულზე, სვ დაკავებულობაში გათვალისწინებულია ოთხი გასასვლელის მოწყობა.

- შენობის სახანძრო მანქანის ყველაზე დაბალი მისადგომიდან ბოლო დაკავებული იატაკის ზედაპირამდე მანძილი აღემატება 23 მეტრს, აქედან გამომდინარე გზა-კიბეებთან სავალდებულოა ვესტიბიულის მოწყობა, რაც გათვალისწინებულია კიბის უჯრედების შესასვლელთან. დახურული ავტოსადგომის სართულზე კიბის უჯრედების და ლიფტის შესასვლელი გამოყოფილია ტამბურით, რომლის შიდა გაბარიტული ზომები აღემატება 1,50 მეტრს.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეები ერთმანეთისგან გამიჯნულია 9 მეტრით და სრულად აკმაყოფილებს წესების 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელთან მისადგომის კიბის უჯრედების ორ კარს შორის მანძილი შეადგენს შენობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტ მანძილს და აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- დერეფნები ისეა დაგეგმარებული, რომ არ წარმოიქმნება 6 მ-ზე გრძელი ჩიხები, რაც აკმაყოფილებს 1018.4-ე ქვეთავის მოთხოვნას.

- ,,2-3“ ღერძებში მდებარე გზა-კიბე მიემართება პირდაპირ შენობიდან გამოსასვლელის გზა-კარისკენ და გამოსვლა მთავრდება +0.00 ნიშნულზე, შენობიდან გამოსასვლელთან, საიდანაც უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს, რაც შეესაბამება 1022.1 და 1022.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ,,12-11“ ღერძებში მდებარე გზა-კიბე, +4,00 ნიშნულზე მდებარე სართულიდან მიემართება პირდაპირ შენობის გარეთ და გამოსვლა მთავრდება +2,50 საპროექტო ნიშნულზე კიბის საფეხურების გავლით, რაც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს. აღნიშნული შეესაბამება 1027.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- კომბინირებული გამოყენების გასასვლელების რაოდენობა არ აღემატება აუცილებელი გასასვლელების რაოდენობის 50%-ს, რაც შეესაბამება 1027.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- ,,2-3“ ღერძებში მდებარე კიბის უჯრედით ხდება სახურავზე მოხვედრა რაც აკმაყოფილებს 1009.16 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილები აკმაყოფილებს 1016.3 ქვეთავის და 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს.

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის (სიგანის) გამოსათვლელად თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვა გამრავლდა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე 7,6 მმ-ზე. პროექტით გათვალისწიენბული 1,35 მ. სიგანის კიბის მარში აღემატება გამოთვლით მიღებულ მაჩვენებელს (1,1 მ.) და აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კიბის ბაქნების ზომები აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის საფეხურების ზომები აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკები აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.

- დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად 1005.3.2-ე ქვეთავის შესაბამისად, დაკავებულობის დატვირთვა გამრავლდა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. დერეფნის მინიმალური სიგანე 1018.2 ცხრილის მიხედვით შეადგენს 1.2 მეტრს, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია მინიმალურ სიგანეზე მეტი.

- შენობის ყველა სართულზე დერეფანი უწყვეტად მიემართება. აუცილებელი გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა საზოგადოებრივ გზამდე გასასვლელისკენ სავალის გასწვრივ არ მცირდება და შეესაბამება 1005.4-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- თითოეული კარის ღიობის მინიმალური სიგანე აღემატება 0,82 სანტიმეტრს და შეესაბამება 1005.3.2-ე და 1008.1.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება:

- მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზით საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებიდან, მისაწვდომი ავტოსადგომიდან, სატრანსპორტო საშუალებებიდან მგზავრების ჩამოსვლის ან ასვლისათვის განკუთვნილი ზონებიდან, საზოგადოებრივი ქუჩებიდან და ტროტუარებიდან შენობის მისაწვდომ შესასვლელამდე, რაც აკმაყოფილებს 1104.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- მიწის ნაკვეთის მისაწვდომი სვლაგეზი შეესაბამება 0,00 ნიშნულს და არ საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი პანდუსის მოწყობას.

- შენობის ყველა მთავარი შესასვლელის 50% მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1-ე ქვეთავის მოთხოვნას.

- ყველა სართულზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გადაადგილება გათვალისწინებულია ლიფტის გამოყენებით, რაც შეესაბამება 1007.2.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- ,,2-3“ ღერძებში მდებარე კიბის უჯრედში გათვალისწინებულია თავშესაფრის ფართობის მოწყობა, რაც შეესაბამება 1007.6.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- მისაწვდომი ავტოსადგომების რაოდენობა გამოთვილილია 1106.1-ე ცხრილის შესაბამისად.

- გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის შეადგენს 1,20 მეტრს და შეესაბამება 1007.3-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;

- გარე კედლები მოეწყობა მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასით და შემავსებლად გამოიყენება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ბლოკი.

- გარე კედლებში მოწყობილი ღიობების ფართობი, ღიობების დაცვის ხარისხი და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები შეესაბამება წესების 705-ე ქვეთავის და 705.8 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ:

- 705-ე ქვეთავის შესაბამისად ,,1-6“ ღერძებში მდებარე ქუჩისკენ გამომავალი ფასადის პირველ სართულზე მდებარე კომერციული ფართობის დაუცველი ღიობების პროცენტული მაჩვენებელი შეუზღუდავია, ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 4,5 მეტს.
  მე-2-დან მე-12 სართულის ჩათვლით, ქუჩისკენ გამომავალი ფასადის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 9,0 მეტს და ასევე შეუზღუდავია დაუცველი ღიობების ფართობი.

- ,,7-13“, ,,13-1“ და ,,დ-ა“ ღერძებში მდებარე ფასადების ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 9 მეტრს და დასაშვებია შეუზღუდავი ფართობის დაუცველი ღიობების მოწყობა.

- ,,ა-დ“ ღერზებში მდებარე ფასადზე არ არის გათვალისწინებულია ღიობების მოწყობა.

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები 602-ე და 705.8-ე ცხრილების მიხედვით									
ფასადი	**ხანძარ საწინააღ მდეგო მანძილი**	**ცეცხლმედეგობის ხარისხი**		**ღიობების დაცვის ხარისხი**					
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	დასაშვები			გათვალისწინებული		
				დაცული	დაუცველი საშხეფით	დაუცველი	დაცული	დაუცველი საშხეფით	დაუცველი
1-6	საზ. სივრცე	0	2	-	-	შეუზღუდავი	-	-	45%
7-13	15,20	0	2	-	-	შეუზღუდავი	-	-	45%
13-1	9<	0	2	-	-	შეუზღუდავი	-	-	45%
დ-ა	9<	0	2	-	-	შეუზღუდავი	-	-	14%

შენიშვნა:

გარე კედლები უნდა მოეწყოს 1403-ე ქვეთავის მოთხოვნების გათვალისწინებით.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება:

- სახურავის სტრუქტურული ჩარჩოს და მზიდი კედლების ცეცხლისაგან დაცვის ხარისხი განისაზღვრა 601-ე ქვეთავის შესაბამისად. შენობის კონსტრუქციის ტიპიდან (I-A) გამომდინარე გათვალისწინებულია 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე სახურავის მოწყობა.

- შენობის სახურავზე გათვალისწინებულია ბრტყელი გადახურვის მოწყობა, რომელიც დაიფარება ჰიდროსაიზოლაციო ფენით. სახურავის ანაწყობ მასალად გამოყენებულია რკინა/ბეტონის მონოლითური გადახურვა.

- სახურავი შემოსაზღვრულია პარაპეტით, რომელიც აკმაყოფილებს 705.11-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- სახურავის წყალარინების სისტემების მოწყობა გათვალისწინებულია 1503-ე ქვეთავის შესაბამისად.

- შენობის კონტრუქციის ტიპიდან (I-A) და 1505.1ა -ე ცხრილიდან გამომდინარე შენობას მოეთხოვება B კლასის სახურავის ანაწყობები. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

- 601 ცხრილის მიხედვით შენობის სახურავის კონსტრუქციას და არამირითად ნაწილებს მოეთხოვება 1/2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ცეცხლმედეგობა.

შენიშვნა:

- ✓ პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთივე ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორიც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის. პარაპეტის კედლები სათანადოდ უნდა დაიფაროს არაწვადი, წყალგაუმტარი მასალებით, რომელთა სისქე პარაპეტის კედლების სისქეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

- ✓ სახურავის ფენილი უნდა დაიფაროს სახურავისთვის ნებადართული ბურულებით, რომლებიც შენობაზე ან ნაგებობაზე მაგრდება ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად.

- ✓ ჰიდროიზოლაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და

სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- 508.1-ე ქვეთავის გათვალისწინებით, შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული 302.1 ქვეთავის შესაბამისად.

- ვინაიდან -3,00 ნიშნულზე მდებარე დს დაკავებულობა არ აღემატება სართულის ფართობის 10%-ს, 508.2.1-ე ქვეთავის გათვალისწინებით შესაძლებელია კლასიფიცირდეს როგორც დამხმარე დაკავებულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამხმარე (დს) და მთავარი (სწ-2) დაკავებულობების გამიჯვნა აუცილებელი არ არის, თუმცა 913.2.1-ე ქვეთავის გათვალისწინებით, ოთახები სადაც განთავსებულია სახანძრო ტუმბოები ყველა სხვა ფართობისგან გამიჯნული უნდა იყოს 2-საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით.

- საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) ერთმანეთისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრებით, რაც შეესაბამება წესების 708.3-ე ქვეთავების მოთხოვნებს.

- შერეული დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია 420-ე ქვეთავის შესაბამისად.

- ვინაიდან შენობაში არ არის გათვალისწინებული საშხეფი სისტემის მოწყობა, სც-2 დაკავებულობა სქ დაკავებულობისგან გამიჯნულია 2 საათიანი თარაზული ანაწყობებით რაც აკმაყოფილებს 508.4-ე ცხრილის მოთხოვნებს.

- როგორც ერთი დაკავებულობის, ასევე შერეული დაკავებულობების ცეცხლისგან დაცული ფართობების გამმიჯნავი თარაზული ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს და შეესაბამება 707.3.10-ე ცხრილის მოთხოვნებს.

- დერეფნები საცხოვრებელი ფართებისგან გამიჯნულია 1,0 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრებით, რაც აკმაყოფილებს 1018.1-ე ცხრილის მოთხოვნებს.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების შემომზღუდავები აგებულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდით და აკმაყოფილებს 1022 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საინჟინრო შახტების, გზა-კიბეების და ლიფტის შახტების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს, რაც აკმაყოფილებს 713-ე და 1009.3.1.2-ე ქვეთავების მოთხოვნებს.

შენიშვნა:

- ✓ 703.7-ე ქვეთავის შესაბამისად ცეცხლმედეგ კედლებს, ცეცხლმედეგ ზღუდეებს, ცეცხლმედეგ ტიხრებს, კვამლგაუმტარ ზღუდეებსა და კვამლგაუმტარ ტიხრებს ან ნებისმიერ სხვა კედელს, რომელთა ღიობები ან გაყვანილობები დაცული უნდა იყოს, ამოსაცნობად მუდმივი და ეფექტიანი ნიშნები ან ტრაფარეტები უნდა ჰქონდეს.
- ✓ სტრუქტურული ნაწილებისა და მათი სისტემების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს 704- ქვეთავის და 601-ე ცხრილის მოთხოვნებს.
- ✓ ცეცხლმედეგი კედლები უნდა გრძელდებოდეს საძირკვლიდან დასრულების წერტილამდე.
- ✓ 707.6-ე ქვეთავის ცეცხლმედეგი ზღუდეების ღიობები 716-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს დაცული. ღიობების მაქსიმალური საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25% უნდა იყოს, ხოლო თითოეული ინდივიდუალური ღიობის მაქსიმალური ფართობი 15 მ^2-ს არ უნდა აღემატებოდეს. გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეებისა და პანდუსების, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და პანდუსების და გასასვლელის გზა-დერეფნების შემომზღუდავებში დატანებული ღიობები 1022.3 და 1023.5 ქვეთავებსაც უნდა შეესაბამებოდეს.

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- შემოზღუდული ავტოსადგომი (სწ-2) მდებარეობს სვ დაკავებულობის ქვემოთ, მიწის ქვედა სართულზე. აღნიშნულიდან გამომდინარე გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა, რაც აკმაყოფილებს 903.2.10-ე ქვეთავების მოთხოვნებს.

- 903.2.7-ე ქვეთავის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემა მოეთხოვება სვ ჯგუფის დაკავებულობას, თუ ხანძრისგან დაცული ფართობი 1200 მ2-ს აღემატება, სვ ჯგუფის ხანძრისგან დაცული ფართობი მდებარეობს მიწის დონიდან სამ სართულზე მაღლა და

სვ ჯგუფის ხანძრისგან დაცული ფართობის საერთო ფართობი ანტრესოლიანად ყველა იატაკზე 2300 მ2-ს აღემატება. ვინაიდან სვ დაკავებულობა მდებარეობს მხოლოდ პირველ სართულზე და ფართობი ნაკლებია 1200 მ2-ზე, პროექტის მიხედვით არ არის გათვალისწინებული ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსდება სწ-2 და სვ და დაკავებულობებში 906.1-ე ქვეთავის გათვალისწინებით.

შენიშვნა:

- ✓ პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა განთავსდეს შესამჩნევ ადგილებში, რათა მათთან მისვლა და დაუყოვნებლივ გამოყენება ადვილი იყოს. ასეთი ადგილებია ჩვეულებრივი სავალი ბილიკების გასწვრივ, თუ სახანძრო-სამაშველო დანაყოფი არ დაადგენს, რომ არსებული საფრთხის გამო ცეცხლსაქრობები ჩვეულებრივი სავალი ბილიკებიდან მოშორებით უნდა განთავსდეს.
- ✓ პორტატიული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში. თუ ოთახებში ან ფართობებზე პორტატიული ცეცხლსაქრობების დანახვას რაიმე აბრკოლებს, უნდა არსებობდეს სპეციალური მინიშნებები, რომლებიც ცეცხლსაქრობების მდებარეობაზე მიუთითებს.
- ✓ ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომლებიც არ არის მოთავსებული კარადებში, უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე ან განთავსდეს ბრჯენებზე. საკიდები და ბრჯენები კარგად უნდა დამაგრდეს საყრდენ ზედაპირზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად.
- ✓ პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა იკეტებოდეს.

სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- ვინაიდან საძინებელი ერთეულები მდებარეობს სამი და მეტი სართულით მაღლა ყველაზე დაბალ დონეზე მდებარე შენობის გამოსასვლელიდან და მოიცავს 16-ზე მეტ საცხოვრებელ ერთეულს, სც-2 დაკავებულობები (ბინები) 907.2.9.1-ე ქვეთავის შესაბამისად აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით.
- სც-2 დაკავებულობაში თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე განთავსებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლები 907.2.11.2-ე ქვეთავის შესაბამისად.

- თითოეული ელექტრომექანიკური მოწყობილობის ოთახებში და ავტოსადგომის ლიფტის ფოიეში განთავსებულია კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რაც შეესაბამება 907.2.13.1.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ არის განთავსებული თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით რაც აკმაყოფილებს 907.4.2.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა:

- ✓ საგანგებო ვითარების დროს ლიფტმა რომ იმუშაოს, უნდა განთავსდეს ASME A17.1 და NFPA 72-ის შესაბამისი ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები.
- ✓ სახანძრო უსაფრთხოების ფუნქციების შესასრულებლად განკუთვნილი ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები დაკავშირებული უნდა იყოს შენობის სახანძრო განგაშის საკონტროლო პანელთან 907.3-ე ქვეთავის შესაბამისად.
- ✓ კვამლაღმომჩენები უნდა მიეერთდეს ავტომატურ სახანძრო განგაშის სისტემას. ამ ქვეთავის მიხედვით აუცილებელი ნებისმიერი აღმომჩენის გააქტიურებამ უნდა გააქტიუროს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა 907.5.2.2-ე ქვეთავის შესაბამისად.
- ✓ სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად.
- ✓ ლიფტის შახტები უნდა იყოს დაწნეული, რომ შენარჩუნდეს, სულ მცირე, 25 პა დადებითი წნევა და, არაუმეტეს, 67 პა დადებითი წნევა, მომიჯნავე დაკავებული სივრცის ყველა იატაკის გათვალისწინებით. წნევა უნდა გაიზომოს ლიფტის შახტის თითოეული კარის შუაწერტილში, როდესაც ყველა ლიფტის კაბინა გამოძახების იატაკთანაა და ლიფტის შახტის ყველა კარი გამოძახების იატაკზე ღიაა, ხოლო ლიფტის შახტის ყველა სხვა კარი დახურულია. ამ ტესტის ჩატარების დროს უნდა ჩანდეს თითოეულ დონეზე ლიფტის შახტის კარების გაღება-დახურვა. კარადა ჰაერით უნდა მარაგდებოდეს (შენობის) გარედან, დაუბინძურებელი წყაროდან, რომელიც მდებარეობს, სულ მცირე, 6,0 მ-ის დაშორებით ჰაერის გამწოვი ნებისმიერი სისტემის ან გამომშვები ხვრელისგან.
- ✓ დაწნევის სისტემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტროენერგიით, რომელიც მარაგდება იმავე წყაროდან, რომლიდანაც შენობაში არსებული სხვა აუცილებელი საავარიო სისტემები.
- ✓ ლიფტის დაწნევის სისტემა უნდა გააქტიურდეს/ამუშავდეს შენობის სახანძრო განგაშის სისტემის ან ლიფტის ფოიეში დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე. თუ შენობაში დაყენებულია როგორც სახანძრო განგაშის სისტემა, ისე ლიფტის ფოიეში დაყენებული კვამლაღმომჩენები, თითოეულს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს დაწნევის სისტემის გააქტიურება.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- გარდა შემოზღუდული ავტოსადგომებისა, სხვა სართულებზე არ არის გათვალისწინებული ლიფტის ფოიეს მოწობა. 713.14.1-ე ქვეთავის მე-6-ე გამონაკლისის შესაბამისად ლიფტის შახტები არის დაწნევადი.

- დაწნევი სისტემა აკმაყოფილებს 909.21-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

მილდგარები:

- 905.3.1-ე ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან, რაც გათვალისწინემბულია წარმოდგენილი პროექტით. მთელ შენობაში III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა მოეწყობა დერეფნებში. მილდგარების სახელოს მისაერთებლებიდან 30 მ. წერტილში სახელოზე მიმაგრებული სახანძრო თავაკიდან წამოსული ნაკადი 9,0 მ-ზე აღწევს და მოიცავს იატაკის ფართობებს სრულად.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA-ის სტანდარტების შესაბამისად, საავტომობილო გზების, შენობებისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2 – 912.5 ქვეთავების მოთხოვნებს. სახანძრო მისაერთებლების მდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

შენიშვნა:
სახანძრო მისაერთებლებთან მისასვლელი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს და არასოდეს ჩაიხერგოს ღობეებით, ბუჩქებით, ხეებით, კედლებით ან სხვა მსგავსი ობიექტებით. სახანძრო მისაერთებლებთან მისადგომი შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

სახანძრო ტუმბოები:

- სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარები განთავსდება -3,00 ნიშნულზე, რომელიც 913.2-ე ქვეთავის გათვალისწინებით დაცული უნდა იყოს მომსახურების შესაძლო შეწყვეტისგან.

- სახანძრო ტუმბოები უნდა განთავსდეს ოთახებში, რომლებიც შენობის ყველა სხვა ფართობისგან გამიჯნულია 2-საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომლებიც

აგებულია 707-ე ქვეთავის შესაბამისად ან თარაზული ანაწყობებით, რომლებიც აგებულია 711-ე ქვეთავის შესაბამისად, ან ორივეთი.

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემების რაოდენობა განსაზღვრულია 1602.1-ე ცხრილის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

- ✓ **სვ** დაკავებულობას 1602.1-ე ცხრილის მიხედვით მოეთხოვება 1 ცალი უნიტაზი, 1 ცალი ხელსაბანი და 1 ცალი სამომსახურო ნიჟარა. პროექტით გათვალისწინებულია 6 ცალი უნიტაზის, 6 ცალი ხელსაბანის და 2 ცალი სამომსახურო ნიჟარის მოწყობა.

- ✓ **სც-2** დაკავებულობაში, ყველა ბინაში გათვალისწინებულია მინიმუმ 1 ცალი უნიტაზის, ხელსაბანის და საშხაპის მოწყობა. სამზარეულოში გათვალისწინებულია 1 ცალი ნიჟარის და 1 ცალი ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელის მოწყობა.

- ✓ **სწ-2** და **დს** დაკავებულობებს არ მოეთხოვება წყალსადენი სისტემების მოწყობა.

12) ლიფტების შეფასება:

- ➢ შენობაში გათვალისწინებულია 1 ლიფტის მოწყობა სადაც შესაძლებელია 2,15მ. X 0.6 მ. საკაცის შეტანა, რაც შეესაბამება 1702.4-ე ქვეთავის მოთხოვნას.

- ➢ ვინაიდან ლიფტის შახტას სც-2 დაკავებულობის სართულებზე არ გააჩნია შემოზღუდული ფოიე, 713.14.1-ე ქვეთავის მე-6 პუნქტის გამონაკლისის შესაბამისად გათვალისწინებულია დაწნევის სისტემის მოწყობა.

- ლიფტის მოწყობილობის ოთახში განთავსებულია კვამლაღმომჩენი რაც შეესაბამება 907.2.13.1.1-ე ქვეთავის მოთხოვნებს;

- ლიფტის შახტების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს, რაც აკმაყოფილებს 713-ე და 1009.3.1.2-ე ქვეთავების მოთხოვნებს.

- ლიფტის შახტის თავში მოწყობილია საჰაეროები, რომლებიც პირდაპირ გარეთ გადის, რაც აკმაყოფილებს 1704.2-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- საჰაეროს ფართობი აღემატება ლიფტის შახტის ფართობის 3,5%-ს, რაც შეესაბამება 1704.3-ე ქვეთავის მოთხოვნას.

- ავტოსადგომზე მდებარე ლიფტის შახტის შემომზღუდავში წყალსადენი და მექანიკური სისტემები განთავსებული არ არის, რაც შეესაბამება 1704.4-ე ქვეთავის მოთხოვნას.

დასკვნა

ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შპს ,,სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.36.014.681), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი N16), არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან.

დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა შესაბამის ინფორმაციას.

პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება

ექსპერტი:

18.03.2022 წელი.

საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, შპს ,,სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.36.014.681), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი N16), არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის №732 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების” მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

პროექტის ავტორი----------გიორგი მერაბიშვილი

ექსპერტი----------ლევან ოთარაშვილი

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4-ე თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, პანდუსს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- ✓ იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- ✓ მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სავაჭრო ფართში, თაროებს შორის), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- ✓ სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1-ე ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- ✓ საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2-ე ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ✓ გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- ✓ კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. მიწის ნაკვეთის მისაწვდომი სვლაგეზი შეესაბამება 0,00 ნიშნულს და არ საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი პანდუსის მოწყობას.

4. ლიფტი შეესაბამება 407-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ შენობაში მდებარე ლიფტი არის სამგზავრო ტიპის, რომელიც შეესაბამება, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს.

- ✓ კაბინის კარი სუფთა სიგანე განსაზღვრულია 900 მმ-ით, რაც შესაბამისობაში 408.3.3.1 ქვეთავთან.

- ✓ ლიფტის კაბინის იატაკის თავისუფალი ფართობის სიგანე 2100 მმ-ია, ხოლო თავისუფალი ფართობი 6,1 კვ.მ.-ის ტოლია, რაც შეესაბამება 408.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

ადგილის და შენობის ელემენტები:

1. საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- ✓ #41-ე დადგენილების 1106.1-ე ცხრილის შესაბამისად გათვალისწინებულია 3 მისაწვდომი ავტოსადგომის განთავსება, მათ შორის ერთი მიკროავტობუსია. მიკროავტობუსისთვის განკუთვნილი ადგილი მდებარებს ღია ავტოსადგომზე (#75)

- ✓ მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას,

- ✓ მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია, თანახმად 502.3-ე ქვეთავისა.

- ✓ მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ✓ ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც არის განკუთვნილი, რაც შეესაბამება 502.5-ე ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1-ე ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას - „მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი

სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8 ქვეთავის მოთხოვნას.

2. საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- ✓ კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 160 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 300 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- ✓ სახელურებს შორის თავისუფალი სიგანე 1007.3-ე ქვეთავის გათვალისწინებით შეადგენს 1,20 მეტრს.

- ✓ კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 160 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 300 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- ✓ კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

- ✓ საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- ✓ კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი წარწერა ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- ✓ კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.

- ✓ ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ✓ სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1-ე ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- ✓ უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- ✓ უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- ✓ უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2-ე ქვეთავის შესაბამისად.

- ✓ ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- ✓ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- ✓ სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- ✓ თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომ თავშესაფრის ფართობს, მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.

- ✓ თავშესაფრის ფართობებზე განთავსებულია ნიშანი მითითებებით საგანგებო ვითარებაში ფართობის გამოყენების შესახებ. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა

აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.

- ✓ თავშესაფრის ფართობებთან განთავსებულია ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.

- ✓ მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

- ✓ მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

- ✓ სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ✓ ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

- ✓ სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ✓ ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
- ✓ ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი.
- ✓ სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
- ✓ შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
- ✓ სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
- ✓ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ✓ სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
- ✓ ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
- ✓ ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
- ✓ ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ✓ მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან. მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
- ✓ მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
- ✓ მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები

1. სავაჭრო მომსახურებისათვის განკუთვნილი დახლი შეესაბამება 904 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:

- ✓ დახლის ყველა ნაწილი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე.
- ✓ სალაროს დახლის ზედაპირის სიმაღლე შეესაბამება 904.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები

1. საპროექტო შენობაში „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს, კერძოდ:

„ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული:

- ✓ ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.
- ✓ ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე. თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.
- ✓ მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.3 ქვეთავისა.

- ✓ სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403-ე ქვეთავს.

- ✓ ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც დამკვეთებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404 ქვეთავს.

- ✓ ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.

- ✓ სარეცხი მანქანა შეესაბამება 611-ე ქვეთავს.

- ✓ ერთეულში მოწყობილი ტუალეტი აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
  - ხელჩასაჭიდი ძელების სამომავლო მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.
  -მისაწვდომი მოწყობილობები მდებარეობდეს ერთ ტუალეტის/სააბაზანოს ფართობზე.
  - გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
  - ხელსაბანები შეესაბამება 606-ე ქვეთავს.
  - უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.

- ✓ აბაზანა შეესაბამება 607-ე ქვეთავს.

- ✓ სამზარეულოები შეესაბამება 1103.12 ქვეთავს.

„ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული:

- ✓ „ბ“ ტიპის ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავს და უტოლდება 760მმ X 1200მმ-ს.

- ✓ „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1104.2 ქვეთავისა.

- ✓ ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს, თანახმად 1104.3.1 ქვეთავისა.

- ✓ მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- ✓ მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5 ქვეთავს.

- ✓ ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი შეესაბამება 404-ე ქვეთავს.

- ✓ ერთეულის საზღვრებში არსებული ყველა კარი შეესაბამება 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ ყველა კარის სუფთა სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები.

- ✓ ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.

- ✓ სარეცხ მანქანასთან გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი თავისუფალი სივრცე, თანახმად 1104.10.1 ქვეთავისა.

- ✓ ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავს, კერძოდ:
- ✓ კარი არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.

- ✓ ხელსაბანები შეესაბამება 1104.11.3.1 ქვეთავს.

- ✓ უნიტაზი შეესაბამება 1104.11.3.1.2 ქვეთავს.

- ✓ აბაზანები შეესაბამება 1104.11.3.1.3.1 და 1104.11.3.1.3.2 ქვეთავებს.

- ✓ სამზარეულოები შეესაბამება 1104.12 ქვეთავს.

შ ე ფ ა ს ე ბ ა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქ. თბილისში, შპს ,,სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, N01.19.36.014.681 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი N16), მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენი - „მისაწვდომობის ეროვნული სატანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებთ, რომ მისაწვდომობის პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:  ლევან ოთარაშვილი

თარიღი: ----------18.03.2022 წელი

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000337

არქიტექტურის
ფაკულტეტის 2017 წლის 25 ივლისის №11
გადაწყვეტილებით ლევან ოთარაშვილს მიენიჭა
არქიტექტურის
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

დეკანი
Dean
/ ნოდარ ამაშუკელი
Nodar Amashukeli /

რექტორი
Rector
/ გიორგი გუგუშვილი
George Gugushvili /

თბილისი
TBILISI

25 რიცხვი/ day 12 თვე/ month 2017 წელი/ year

GEORGIA

Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000337

By Decision № 11 of 25 July 2017 of the Faculty
Architecture
Levan Otarashvili
was awarded the Degree of Bachelor of
Architecture.

GEORGIA. LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART * 203851545 *

ბ.ა.
Seal

რეგისტრაციო № 001 509
REGISTRATION

შპს „სავანე ჯგუფი“
თბილისი, ზაზიაშვილის ქუჩა №1
ელ-ფოსტა:
savanegroup@yahoo.com

„SAVANE GROUP” LTD
Tbilisi, zaziashvili st №1
Email:
savanegroup@yahoo.com

N-3

ქ. თბილისი 11/20/2021 წ.

ცნობა

სამუშაო გამოცდილების შესახებ ეძლევა ლევან ოთარაშვილს მასზედ, რომ 2016 წლის აპრილიდან 2017 წლის სექტემბრის ჩათვლით მუშაობდა შპს „სავანე ჯგუფში“ არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შპს „სავანე ჯგუფი“-ს დირექტორი გიორგი ჩიტაიშვილი

artytechs.

14.12.2021

ც ნ ო ბ ა

ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ ეძლევა ლევან ოთარაშვილს საჭიროებისამებრ წარსადგენად მასზედ, რომ 2017 წლიდან 2021 წლის ივნისის ჩათვლით მუშაობდა შპს „არტიტექსში“ არქიტექტორის თანამდებობაზე.

შპს „არტიტექსი “
მართველი პარტნიორი

არჩილ ძიძიგური